დამატებითი ინფორმაცია ქიმიის ინგლისურენოვანი პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ (სწავლების ენა- ინგლისური) წარმოადგენს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი თსუ-ის ერთობლივი პროგრამის ანალოგს, რომელიც ხორციელდება 2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამა შედგენილია ამერიკის ქიმიის საზოგადოების (https://www.acs.org/content/acs/en.html) და საქართველოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწყებულია მუშაობა პროგრამის სერტიფიცირებისთვის ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ, რომელიც წარმოადგენს მაღალი ავტორიტეტის მქონე ერთ-ერთ ყველაზე ძველ პროფესიულ გაერთიანებას.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ყველა იმ თეორიული და პრაქტიკული კურსის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად. სწავლების პროცესში გამოიყენება ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქიმიური და ბიოქიმიური ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას.

პროგრამა ასევე შეიცავს მრავალფეროვანი ზოგადი განათლების საგნებს და გათვლილია ქართველ და უცხოელ სტუდენტებზე.

ქიმიის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები:

საქართველოს მოქალაქეებისთვის: ერთიანი ეროვნული გამოცდები:

1. ქართ. ენა და ლიტერატურა
2. ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 60%),
3. მათემატიკა

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის:

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
2. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მოქმედი სერტიფიკატი: Cambridge English First Certificate (Band C,B,A), IELTS (Band 5,5 და ზევით), TOEFL (Internet - based- 65 და ზევით ; TOEFL (Paper -based- 513 და ზევით), ან ინგლისური ენის B2 დონის მისაღები გამოცდა თსუ-ში;

სწავლის საფასური:

1. საქართველოს მოქალაქეებისთვის 2250 ლარი
2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის 10 000 ლარი.

პროგრამის კოორდინატორის ელ-ფოსტა: giorgi.jibuti@tsu.ge